საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო

KA020169968244820

მისამართი: თბილისი , დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: **+995 591 40 40 51**: ფაქსი: **+995 32 243 95 02**

 # 22/8529 **01 / დეკემბერი / 2020 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 30 ნოემბრის N22/8512 წერილთან დაკავშირებით, დამატებით წარმოგიდგენთ კორექტირებულ სკრინინგის ანგარიშს, კერძოდ, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე 3 ნაწილის თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ სართიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მტკნარი წყლის, 1 000 000 $მ^3$ /წელიწადში (სამეწარმეო მიზნით, კერძოდ, გამოყენებულ იქნება საგარეჯოს რაიონის, სოფ. სათაფლეში არსებული ნუშის ბაღებისა და ერთწლიანი კულტურის მოსარწყავად) მოპოვების სკრინინგის განცხადებას. გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით. სალიცენზიო ობიექტი (წყალმიმღები სამ უბნად) მდებარეობს ზღვის დონიდან 650-680 მეტრ სიმაღლეზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ სართიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე იორის მარცხენა ვაკე რელიეფის მქონე ჭალისზედა I ტერასაზე. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას. ობიექტი არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის, დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან სიახლოვეს, არც ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები. ასევე, არ ფიქსირდება მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებთან და სხვა ობიექტებთან. ჭაბურღილების განთავსების უბნებზე საშიში გეოლოგიური პროცესები არ შეინიშნება. საბადოს ექსპლუატაციის პროცესში გართულებები მოსალოდნელი არ არის. ამ მიზნით გაცემული ლიცენზია არ გამოიწვევს წყლის, ნიადაგის, მიწის დაბინძურებას, ნარჩენების წარმოქმნას, გარემოს დაბინძურებასა და ხმაურს.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას. ამასთან, გთხოვთ არ მისცეთ მსვლელობა სააგენტოს 2020 წლის 19 ოქტომბრის N22/7503 წერილით წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებასა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას.

დანართი: 5 გვ.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს სსიპ
წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ნანა ზამთარაძე